



წელიწადი
პირველი

საზოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოდის ხუთშაბათობით

ხელის მოწერა: ტფილისს, „ივერიის“ რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიოყვის სახლების შემოდ. № 5 ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გაზეთი იმერია გამოვა 1878 წელს იმავე სახით, იმავე პროგრამით და ისევ კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით.

ფასი ერთის წლისა, გაგზავნით თუ გაუგზავნელად, შვიდი მანეთია.

ხელისამოწერა მიიღება ტფილისში, „ივერიის“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება მთაწმინდის ქუჩაზე, შიოყვის სახლების შემოდ, ქანანავის სახლში, სახლი № 5.

ქუთაისში ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ტფილისის გარე მცხოვრებთა შეუძლიანთ დიბარონ გაზეთი «ივერია» ამ აღწერით: **Въ Тифлисъ, въ редакцію газеты ИВЕРІА.**

საძიებელი I. საზოლიტიკო მიმოხილვა. — II. საქართველოს მატანუ: — III. ომის ამბები. — IV. საქართველო, (ისტორიული და ეტნოგრაფიული გამოკვლევა. — V. იაგუნდი მარია სტუარტისა (შემდეგი). — VI. წერილი პეტრობურღიდან (წერილი მეოთხე). — VII გორის მარის ს. ჭადის დვთის მშობლის მიძინების „გუგუნზე“ წაწერანი. — VIII. განცხადება.

საზოლიტიკო მიმოხილვა

ეველანი მოელოდნენ, რომ ზღუენის აღების შემდეგ უსათუოდ შერიგება ჩამოვარდებო, მაგრამ ესა საქმე ისე გამოდის, რომ შერიგება ჯერ შორს არის. არამც თუ შერიგება, არამც საქმე უფრო ისლართება: ევროპიის ცაზედ სქელი დრუბული იკრითება, თვალს ეკ

დრუბული ვერ განუჭკრეტი; რაღაც იდუმალი სმა ქქუს და ისე იწვიმებს რეგორც ქქუს, თუ არა — ამას დრო გამოაჩენს. ამ ქუხილში ეველანზედ ამკარად ინგლისის სმა ისმის. ინგლისში ესლა მთავრობა ასეთს ფაცი-ფუცს შექსდგომია, რომ მუქაჩას მოასწავებს. სამინისტროს ჩხევა თითქმის ყოველდღე არის ხოლმე და ხან დღეში ორჯელაც, ზარლამენტი საჩქაროდ წინადლით უნდა შეიკრიბოს; სამინისტრო ზრუნავს და ცნობას აგროებს თოფ-იარაღზედ და საზბახსენზედ; გარდა ამისა ზარლამენტი გაიმართება თუ არა, სამინისტრომ უნდა ქსთხოვოს ზარლამენტს ფულის დანაშენა ჯარის წამატებისა და განძლიერებისათვის. იქნება ეს ყოველიფერი ტყუილი ფაქთი-ფუროტიც არის, მაგრამ ცუდი ნიშნები კია. ამბობენ, ინგლისის პოლიტიკას ევროპაში არავინ არ თანაუგრძნობსო. თუ ეს მართალია, მაშ რის იმედით იღუწის ინგლისი? რაც უნდა თქვან სსკებმა ინგლისის განმარტობაზედ, ჩვენ კი ასე გვგონია, რომ თუ ზუტგი მაგარი არა ქქონდეს, იგი სულები ხომ არ არის ასე თამამად სმალზედ სელდადებული გამოკვიდეს მოედანზედ და იმასოს: რაც მე არ მინდა, თქვენ იმას ვერა იქმთო. აქ რაღაცა დაფარული ძალი და იმედი უნდა მოქმედებდეს. რა ძალია ეს ძალი, რა იმედია, — ეგ ძალიან კარგად უნდა იცოდნენ ინგლისის მინისტრებმა და იმ გულდასურულმა ბებრმა, რომელსაც დიპლომატია ქქვიან.

თვითონ რსმალოც რომ უფრს არ იბერტყავს? მუსთარ-ფაშის ჯარი დაუმარცხეს, უარსი წაართვეს, არზრუმს მიადგენ; იქ კიდევ უკეთესი ჯარი რსმან-ფაშისა ტყვედ დანარჩუნეს, ზღუენა წაართვეს და დღესა თუ სვალ აღრინაზოლსაც მიადგებიან, მაგრამ რსმალო მანინ თავისას არ იშლას და თავის-თავს დამარცხებულად არა ქსთვლის. ამასაც რაღაც იდუმალი იმედი უნდა ქქონდეს,

თორემ დღესვე ფეხ-ქვეშ უნდა ჩავაძინოდა რუსეთს და შეჩივრება ეთხოვნა. შეჩივრების თხოვნის მაგიერ, რამდენიმე ევროპის სახელმწიფოებს შეუთვალა, თუ თქვენ საერთოდ ჩაკვიდგებით შუაშია და მოგვარებით ხომ რა ვარგოა, თუ არა და რაც ძალი და ღონე მაქვს მოვიტყუო და განვაგრძობ ბრძოლასა. ამასთანავე შეუთვლია, რომ მე მხოლოდ ამ პირობით მოურთივრებო, თუ რუსეთი კონსტანტინეპოლის კონფერენციის რქმს იყაბულებს და რამდენიმე იმპერიას არაფერს არ ჩამოართმევს. ამისთანა სიტუაცია-პასუხი ქმარტებს მარტო იმისთანა ვაცს, რომელიც დაჯერებულია, რომ თუ გამარჯვებული არა ვარ, რამი მანინტ გავუსწორო; ან კიდევ იმისთანა, რომელიც თუმცა დამარცხებულია, მაგრამ მტკიცე იმედი აქვს საქმეს გავისწორო.

ჟერ თვალად რაცა ქსხანს, იქიდან ვსუდავთ, რომ რამდენიმე თითქმის იმედი გადაწყვეტილი უნდა ქქონდეს, იმიტომ-რომ გერმანიამ გერაფრად მიიღო რამდენიმე თხოვნა შუამდგომლობაზე; ავსტრიამაც ატრუთვე; იტალიამ და საფრანკეთმა კი შეუთვალა, რომ ჟერ ვნახოთ სხვა სახელმწიფოები რას იქმენენ. ეს პოლიტიკის ქვეყნის პირია, შიგ ძიქში რა არის, ეგ ღმერთმა იცის.

ინგლისი, როგორც ვარგი მეძებარი, ყველგან ქსუნავს და კვალს იკვლევს. ვინ იცის? იქნება კიდევ გადობიროს ვინმე. თუ ეს იმედი არა ქქონდეს,—ჩვენ კიდევ ვიტყვი,—ინგლისი თავს ტყუილად არ იტყენდა. ამ ბოლოს დროს ამბობენ, რომ ინგლისი, რა კი ვერავინ ვერ დაიფლავს ევროპაშია, ესლა იმის ცდაშია, რომ სულთ იგდოს რომელიმე ნაწილი რამდენიმე თავისის საზღვრებობის გირად და მისი ძახილი, ყვირილი, იარადის მზადება, ჟარების წამატება—სულ ამ განზრახვისათვის არის. ამბობენ ვითომ ინგლისს ეკვიპტურად უჭირავს თვალთ. მაგრამ აქ საფრანკეთი და ნაპეტუნავად იტალია მოტილედ წინ დაუსვდებიან. იტალიას უბძანების კიდევ თავისის ელჩისათვის, ინგლისში, მანდაურს მინისტრებისაგან შეკვიტვე, მართლაც ინგლისი სულ იწვდის ეკვიპტესაჟსა.

რასაკვირველია, ინგლისი მაგას მოიწადინებს, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ყოველივე სხვა სიდი ზღვაში ჩაუტვივდება. ჟერ მანამდე ბევრი გოჯა წუალი დაიდურება. ინგლისმა ძალიან გუდის ქნევა იცის, იქ ვაქს-წყვეტს, სარა წერილია.

ინგლისს ჟერ კიდევ იმედი დაკარგული არ უნდა ქქონდეს ავსტრიაზე და საფრანკეთზე. ამით რჩევს დიდი ხანია გული უღრინავთ გერმანიაზე, რომლის მუხებობითაც ამ რთულს აღმოსავლეთის საქმეს დღეს რუსეთის სასარგებლო ფერი ადევს. ჟერ საფრანკეთი სულ განახულია და გულში რა აქვს, არ აცხადებს. მგონია, ჟერ იცდის, ვნახოთ ბედის ჩარხი როგორ დატრიალდება. ავსტრიაში კი დიდი განხეთქილებაა. მისი ნახევარი—ვენეციის შოთავს, რომ ავსტრი-ვენეციის არ შეულის რამდენაა. ამ მოკლე ხანში 8,000 გაცი შევიდა ვენეციის დედა-ქალაქში, უშოთინა, უყვირნია მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ, მისეგია მინისტრს ტისსას, სასაცილოდ აუგდია და მისის სახლის ფარჯრები დაულეწია, რატომ არა შევლიო რამდენიმე. რასაკვირველია, პოლიციის მისულს და ეს აშოთეთული ხალხი გაუფანტავს, მაგრამ ამ ამბავს ცოტად თუ ბევრად ჩაუფიქრებია ავსტრი-ვენეციის საქმეთა გამკლებელი. ვინ იცის? იქნება ამ გვარმა ამბებმა აცდინოს ავსტრია და პირ-და-პირ ჩაითრიოს იმ მოკრეში, რომელსაც აღმოსავლეთის საქმეს ეძახიან. მხლად მოსაფიქრებელი კია, მაგრამ თუ ეს მოხდა, მაშინ სად დაიწყო რამი და სად გათავლება—მარტო ღმერთს თუ ეცოდინება.

საქართველოს მატარნი

ჩვენში მარტო გლეხ-კაცის კისერია მრავალ-გვარის ბევრის ზასუხის-გამცემი სახელმწიფოს წინაშე. ერთი ამ სამსახურთაგანი, რომელიც სულს ხდის გლეხს და ათასს-რებს, ურმის ბეგარაა. ჩვენ აქ იმის თქმა კი არ გვინდა, რომ ურმის ბეგარა არ უნდა იქმნას. ჩვენ ვარგად ვიცით, რომ სახელმწიფო უმჯობესად ვერ გაქსძლებს და ამიტომაც ეგ გვარი სამსახური სახელმწიფოსათვის ყოველს ქვეყანაშია მიღებული როგორც აუცილებელი საჭიროება. განსხვავება ჩვენთა, რუსეთისა და ევროპის ქვეყნებთა შორის უმთავრესად იმაშია, რომ იქ ქვეყნის მმართველთა, უმჯლესთა თუ უმცირესთა, ფიქრი და ზრუნვა იმაზეა მიქცეული, რომ მძიმე ტვირთი ემაგ სამსახურისა თანაწიროდ და სამართლიანად განწილებულ იყოს მცხოვრებთა შორის და არ ედოს კისრად მარტო ერთს რომელსაღვე წყობის ხალხისას. მთელი წესდება ამ სამსახურის შესახებ აშენებულია ამ თანაწირობაზე და სამართლიანობაზე.

ჩვენში ჯერ არ არის შემოღებული ეგეთი დე-ბულები და იმიტომაც ურძის ბეგარა მარტო გლეხ-განის კისერსუა. თუმიცა, სასაკვირველია, ეს ძვირად უჯდება გლეხს და მძიმე ტვირთად აწევს, მაგრამ ამ ტვირთის სიმძიმეს წვალებით და ვაი ვაგლანით აუვიდოდა, თუ რომ სხვა ფრივაც უფრო არ უმძიმ-დებოდა ეს ისეც მძიმე უღელი სამსახურისა. ჩვენის გლეხ-განმა დიდი ხანია წსთქვა „სამართლით მოჭრი-ლი ხელი არ მეტკინება.“ აქედამ ცხადია, რომ ჩვენ-ნებური გლეხი მორჩილი მონაა კანონისა, თუ კანონით მოექცევიო. აქედამ ცხადია, რომ იგი ყოველს სიმძიმეს ასე თუ ისე აიტანს, თვით კანონის სისას-ტიკესაც და უღმობელობას უძლებს, ოღონდ კი გთხოვთ რასაც მიზანით კანონით მიევათო. მართა-ლია ამში გლეხი თუ არა, ჩვენ მაგის გამოკვლევას არ გამოუდგებოთ, ჩვენ მხოლოდ ამას ვიტყვიო, რომ ეგეთი მისი რწმენა, ეგეთი მისი ჰატივისცემა კანონის ძვირფასი საუნჯეა, მკვიდრი სამიერველია ყოველ გვარის სიკეთისათვის. განა მართლა მოჭრილი ხელი არ ეტკინება, მაგრამ ჩვენი დალოცვილი გლეხ-განი მაგას ტკივილად არ ჩააგდებს ხოლმე, როცა იცის, რომ სამართლიანად მოექცნენ. ურძის ბეგარაც ასეა. მის სიმძიმეს, მის ტკივილს, როგორც იქნება, გაუძლებდა გლეხი, გაუძლებდა, თუმიცა კვხისით და გულის ტკივი-ლით კი, იმ ფიქრსაც რომ ყველასათვის მე მარტო მაწვივებენ უღელსაო, ოღონდ კი წესით და რიგით გაწვივებენ ეგ სამსახური. მაგრამ ვაი რომ ეგ ეგრე არ არის და ამას წსთივის და ამას წსტირის გლეხი ჯერ ამ ხანად.

ვერ წარმოიდგენ, მკითხველო, ამ ბეგარის გამო რა ტანჯვას, ცარცვას, ცემა-ტყეზას მიაყენებენ ხოლმე უბედურს გლეხს! ვერ წარმოიდგენ რამოდენს უსამართლობას იტანს, რომ სხვა გზა არა აქვს! გლეხ-განობას ერთი ურემი რომ შეხვდეს ბეგარად, მის გულშემატკივართ მერხებით ის ერთი ურემი ორად და სამად უჯდება. აი, მაგალითობრ, მოუვა ბძანება მარხის მმართველს ამ და ამ სოფლის საზოგადოე-ბამ ათი ურემი უნდა გამოიყვანოსო. ეს ბძანება მმარ-თველიდამ გადადის ზრისცავზედ, ზრისცავიდან მამ-სახლისზედ და ამ გადასვლაში ზიზვანდელი რიცხვი ურძისა, როგორც თოვლის გუნდა, დიდდება და

დიდება ვიდრე მინსწევს სოფლის საზოგადოობამდე ასე, რომ ღმერთს მადლობა უნდა შეეწიროს თუ სოფლამდე ეს რიცხვი ოცს ურემზედ შედგა. რა ჯადოთი მოხდება ხოლმე ამ გვარი გარდაცვლა? ამას ჰასუხი არ უნდა, ეგ ყველამ იცის. რისთვის გარდა-ცვლება ხოლმე ათი ოცად? იმიტომ, ჩემო მკითხველო, რომ ათი ურემი მართლა ბეგარაზედ გავა და მასზედ მეტი კი თავს დაიხსნის ფულითა.

ეჭვ-აუღებელ საბუთებით ვიცით ერთი მაგალითი ამ გვარის ბორბოტ-მოქმედობისა ერთს მარხაში, სა-ცა, ამასზედ მარხის მმართველს განსაკუთრებითი ყუ-რადლება მიუქცევია ვიდრეაო. ამ უცნაურის მარხის სოფლებში ამ მოკლე ხანში მისულა ბძანება ბეგარა-ზედ ურემით გამოსვლისა. დალონებულან საწვალეი გლეხები, ცალკე საქონლის ჭირი, ცალკე ეს უამინ-დობა, რა უნდა ექმნათ? აელოთ, დაელოთ, ამოერჩი-ვით რამდენიმე კაცი და გამოესტუმრებინათ მმართველ-თან თავიანთის ჭირის მოსახსენებლად. მისულიყვენ მარხის სამმართველოში—ფეხის შედგმისავე უმაღ-აყუდეული ქვა დახვედროდათ. ერთი გილაც იქაური „ჩინოვნიკი“ მოჭკებებოდათ წინ, ვკითხა ვინაობა, შეე-ყანა ცალკე ოთახში, გამოეკითხნა და როცა შეეტყეო ამათი დარდი, ეთქვა: თქვენი თხოვნა მეტად მძიმე აღსასრულებელია, ბეგარიდამ ამოშვება არ შეიძლება, სახელმწიფო სამხედრო საქმეა. აი აქედ ისინი, იქით ის „ჩინოვნიკი“, როგორც იყო გარბიკებულიყვენ: გლეხ-განებს 150—200 მ. უნდა მიერთმივათ ურ-ძის ბეგარის მაგიერ და ამით თავი დაეხსნათ. წა-სულიყვენ საცოდავები, აკერიფათ ეს ფული,—რამდენს თვითონ ესენი მეტს აესვამდნენ ქვრივ-ოხენსა და ობოლს, ეგ შენ თითონ დათვალე, მკითხველო,—ჩა-მოეტანათ, ჩაებარებინათ გამრიკებულისათვის, მიე-ლოთ „ვეიტანციები“ და დაბრუნებულიყვენ შინ.

ესლს თურმე დადიან ეს საწვლები იმ „ვეიტან-ციებით“ და იძახიან მეტად ძვირად დაკვიჯდა იმ ფულის დავალებათ და მოდი ისეც ბეგარად გავგრე-კეთო, ოღონდ ის ფული დაგვიბრუნეთო, მაგრამ სად არის დაბრუნება... სასაცილო ეს არის, რომ ის „ჩი-ნოვნიკი“ ამ გლეხებს არწმუნებს თურმე „თქვენ ავი იყავით ბეგარაზედ, ბეგარა მოშორებულიცა გაქვთო, რაღად გინდათ ხელმეორედ გასვლა.“ გლეხნი ეფი-

ცებიან, არა ვყოფილვართ, ბატონო! მაგრამ, შენც არ მძიკვდე, გერაზინ ვერ დაუჯერებიათ თურმე, რომ ბეგარაზედ ფეხიც არ გაუდგამთ. არის დღემდე ეს საქმე ესე და იმედია დარჩება კიდევ, თუ მძართველმა შესაბამი და სასტიკი ყურადღება არ მიაქცია.

აქედამ ის გამოდის, რომ საწყლებმა გლეხებმა ბეგარა ფულით ზღეს და ამ ბეგარისა არა ვითარი სარგებლობა არ უნახავს არც მთავრობას, არც მხედრობას, არც არავის სხვას, გარდა ერთის კაცისა. გლეხებს კი ტყავი გაქსმვრათ! რად და რისთვის? მერე რა დროს? ამისთანა გაჭირებულს დროს, როცა კაცმა არ იცის თავი რით ირჩინოს. მოდი და ამას იქით იკითხოთ: რატომ ჩვენი გლეხი-კაცი ფეხზედ ვერ წამოდგარა. წესისა და რიგის ჩამოგდება ბეგარის თაობაზედ ბეგარის ჭირისაგან დაიხსნიდა გლეხსა, დიდს შიდავითს მიქსცემდა, ბეგარად გაუადვილებდ გაჭირებულს ცხოვრებას. მთავრობის ზიარდაზირ მოვალეობას მიაქციოს ყურადღება ამ საკანს. ერთ რიგიანი, აქაურების თვისებაზედ დამყარებული წესდება დაიხსნიდა გლეხსაც წარცვა-გლეჯისაგან და მთავრობასაც მოაშორებდა მძიმე ტვირთს ამ ბეგარის გამოწვევისას.

— ჩვენს ეკკლესიებს როგორღაც ბუდი არ შექსწევს ხოლმე. დაიწყებენ ეკკლესიების შენებას, საქმეს საქმეზედ მიიყვანენ და ბოლოს კანკელზედ რომ მიდგება საქმე, ერთს გარმინაელს ვისმე ჩაუგვიდებიან ხელში ეკკლესიის გაძებებელი, ის გარმინაელი დაქსტყუებს ფულებს, გაქცევით საითმე და ეკკლესიის რჩება შეუთავგებელად. ეს ამბავი მოუვიდა არა ერთს და არა ორსა და მანც ჩვენებმა ჭკუა ვერ ისწავლეს. ამისთანავე საქმე დამართვით სიღნაღელებს ეხლას ხანს. იქიდან იწერებიან, რომ ამ 14 წლის წინად იქაურ დგთის მოყვარეთა დაუწყვით ქართულის ეკკლესიის შენება. დიდის ღვაწლითა და მეცადინეობითა ის ეკკლესია სისრულეში მოყვანიათ და საქმე რომ კანკელზედ მიდგარა, ერთი ვიღაცა უფ. რუბროვი გამოაქსენიათ, დაუტყუვნი ფულები, გამოქცეულა ქალაქში და ეხლას ზოლიცის შემწეობითაც გედარ ჩაუგდათ ხელში. ამას გარდა ამ ბატონს მოუტყუებია დეკანოზი ხატევიცა იქაც სიღნაღში.

— სიღნაღიდანვე იწერებიან: „ამ უამად სიღნაღის მარხაში აქაურის მძართველის განკარგულებით

და თანდასწრებით სრულდება სოფლების მოხელეთ ამოჩხევა. თვითონ მძართველი დაიარება ყველგან ამ საქმისათვის; წინა დღითვე აკეტვინებს სოფლებში დუქნებს და სამიტიცნობებს, რომ ამოძრეველნი არა ვინ მოხელეობის მსურველთაგანმა არ მიიყიდოს. როცა ხალხი თავს მოიყრის, ზარაკლისს ახდევინებს, ზარაკლისის შემდეგ ხალხს აფიცებს და საჭირო დარიგებას ამღვეს უნგარო და სამართლიანის არჩევანისათვის. ყოველ ამის შემდეგ თვით არჩევანს მოახდენს ხოლმე ამ გვარმა მოწყობამ არჩევანისამ ხალხი საკამად დააფიქრა და დააჯერა რომ არჩევანი სასუმიარი საქმე არ არის. ისმის რომ ეხლას ხალხი ჩვეულებრივ სუბუქად აღარ ეზერობა თავის კენჭს, აღარ ენდობა ყველა მოხელეების მოსურნეთ წვეულებასა და მეჯლისებს და ხმარობს თურმე ყოველს დონეს აირჩიოს მოხელეთ სანდო და სინიდიისანი კაცი. ამასთან თურმე მიქცეულა ჯეროვანი ყურადღება სოფლის სამძართველთა დავთრების განსახილველად. ამის ხშირად განმეორება მომავალშიც ფრიად სასურველია და მეტისმეტად საკეთილთა და სასარგებლო ხალხთათვის. იხუბოს უფაღმან, რომ ამ ზეცილისურს, სინიდიისანს ღვაწლს მარხის მძართველისას, ბოლოც ქქონდეს ეგრეთვე ზეცილისური და საკეთილთა ამ ჩვენს საბრალთა გლეხთათვის“.

— 19 დეკემბერს ავასაკები შიქსცვიგინან ერთს ვიღაცას გუგიაში დიდის ხუთს საათზედ, გაუწარცვავთ და წაურთმევით რაცა ქქონის ხელად; ზატონი ცოცხალი დაუგდათ, ისე წასულან. მერე ისევ შემობრუნებულან და ზატონი დაუჩხიათ.

— 20 დეკემბერს სადამოს ხუთს საათზედ ოთხი ავასაკი დახვედრია ერთს დურგალს, როგორც ამბობენ, ძველს ინსტიტუტთან, და გაუწარცვავთ. დურგალს დაუძახნან, მახილზედ საიდლაძაც მოკარდნილან „დეესტნიკები“, წამოქსწევინან ავასაკებს, მაგრამ ერთს ავასაკთაგანს დამბაჩა უსროლია და ერთი „დეესტნიკი“ იქაც წაუქცევია ავასაკები სულ ერთიანად გაქცეულან.

მ ბ ი ს ა მ ბ ე ბ ი.

— არც აქ ჩვენს მხედრობას ყარსის ალების შემდეგ და არც ბოლგარიაში ზღვევის შემდეგ არაიური გამოსახენი რძი არ ქქონიათ. საზოგადოდ ხმა ისმის, რომ

აქ ჩვენში აზრებებს გაცნო ერთგულების ჩვენი ჯარის და ზოგიც ბათუმისაკენ გამგზავრებულა, იქ კიდევ რამდენიმე უკან ისვენ და რუსის წინ მიდის.

— აქ დენერალ-მაიორი ლორის მედიკოვი თარქმით მისულა ხნის-უალს ქალაქამდე და თვით ქალაქი და მასთან მის მარჯვის 150 სოფელი თვითონ ხაჯხს დაუთმია. ამ მარჯვში რუსის მმართველობა განუწყობიათ. იქ კიდევ დუნაისზედ დასავლეთის რუსის ჯარის თარქმის ბაღვანის გადასვალდი დაუჭერის და ცხენოსანი ჯარი კიდევ სოფლის გზა-ტყევილზედ დამდგანა.

— ამ ხანებში რუსის ზღვის მხედრობამ კიდევ ორი სამამარა საჭეო ჩაიღინა. 16 დეკემბერს ცეცხლის გემი გონსტანტინე დამე მიჭმარკის რამდელსა ხომალდსა და ქვეშ ხაჯმი უფეთქება, მეორე ხაჯმი კი მომცდა. ხმაურობაზედ რამდენი დაფეთებულან, სრულა დაუწყვიათ, მაგრამ ჩვენები გამაქქევინ, ზოგიერთი ნავი ფოთში მშვიდობით მოსულა, ზოგი კი ჭკონიათ ცეცხლის-გემს «გონსტანტინეს» წაუყვანია თანა.

— 14 დეკემბერს კიდევ ცეცხლის-გემს «როსისა» 11-ს სათზედ სევასტოპოლში მოსულა და თან მოუყვანია რამდელს სამანდინი ხომალდი «მერსინა» შვიდასის ჯარის კაცითა და ათის აფიცრითა.

ს ა მ ა რ თ ვ ე ლ ო

(ისტორიული ჭეცხოვრებითი გამოკვლევა)

I.

წინა-დროება ისტორიისა.—სად დამყარდა საუბრელო გამოკვლევის წარმოცებისა.—რავითა ხეხ ცომსე ასლის გამოკვლევა.

უკანსკელის 20—30 წლის განმავლობაში უძველეს ტომებზე, იმათ შთამომავლობაზე და ყოფა-ცხოვრებაზე ევროპის მსწავლელნი სრულებით ასაღ აზრს დაადგენ. ამ ცვლილების საფუძვლად იმათ აქვთ ორი ასაღი შტო მეცნიერებისა.—ენათ შესწავლა ანუ შედარებითი ლინგვისტიკა და არხეოლოგია ისტორიის წინა-დროებისა. ენათ შესწავლის საგანია გამოკვლევა ენისა, იმის ფესვებისა და გრამმატიკულის ფორმებისა, და გარდა ამისა შედარება ერთის ენისა მეორესთან, მესამესთან და სხ. აქამდე შესწავლულია 800-მდე ენა და ამ შესწავლამ ცხადად გვიჩვენა იმათში რომელს რომელთან აქვს ნათესაური კავშირი. ასლა ეს ენები დაწინაურებულნი არიან მოდგმა-მოდგმად, ნათესაობად ანუ კვარებად, გრუზებად და დიალექტებად. ენის თვისებისა

ანუ აგებულობისა მეტრ ყველა მსოფლიო ენები, ბევრნი და ასაღნი, ამოწვეტილნი და ცეცხალნი, დაიყოფიან სამ მოდგმა ენებად: ერთ მოდგმას შეადგენენ ის ენები, რომელთა შორისაც ენის ფესვი ანუ ძირი შეადგენს სიტყვასა და უცვლელად შეება ურთი-ერთს დაკავშირებაში—არსებითს სახელში, ზედ-შესულში, ნაცვალ-სახელში, ზმნაში, განკვლავობაში და სხვა მეორე მოდგმის რთულ სიტყვებში, რომელნიც შემდგარნი არიან, ვთქვათ, ორის თუ მეტის ფესვიდამ, ერთი ანუ ორი ამ ფესვთაგანი უცვლელად ეგება. მესამე მოდგმის ენებში ფესვები ისე იცვლებიან, რომ სწორად სრულებით ჭკარგვენ თავის სასათს და მნიშვნელობას. პირველ მოდგმას (односложные) ეკუთვნიან: ჩინური, ტიბეტური და სხ.; მეორე მოდგმას (приклейные): იაპონური, ავსტრალიური, სეგრული აფრიკაში, ამერიკის ენები, თურანული, თავისის გრუზებათ—ფინური, თურქული, მონგოლური, თურგურით, სამოქლური. მესამე მოდგმისანი (флективные) არიან შემდეგნი ენანი: ა) სემიტური თავისის გრუზებათ—არამეო-ასსირიული (საღდეური, სირიული და ასსირიული); ხანსკური (ებრაული და იფრიკიური) და არაბული; ბ) ხამიტური მისის გრუზებათ—ეგვიპტურით, ლიბიურით და ეფიოპიურით; გ) ინდო-ევროპული შემდეგის გრუზებათ—ჩინური (ზენდური, სპარსული, სომხური, ოსური, ქურთული, ავღანური), კელტურით, ელბინურით, იტალიურით, გერმანიურით (გოთური, სკანდინავური, ქვემო-გერმანიული, ზემო-გერმანიული), სლავიანურით და ლეტურით. ამ ენების მოდგმათ აგებულობაში არსებობს ისეთი განსხვავება, რომ ზოგიერთნი მეცნიერნი,—მთელი ასაღი შკოლა, რომელსაც ეკუთვნიან, მაგ., დარვინი და აგასისი,—ამტვიცებენ, ვითომც თვითთუელი მოდგმა იყოს აღმოცენილი ცალ-ცალკე, სხვა და სხვა ადგილს, სხვა და სხვა დროს. ამ საგანზე დიდი ბასია და ვნახთ მომავალი რა განახენს დასაღებს; ეს კი უძველესი ასაღე, რომ ლინგვისტიკურმა შესწავლამ იქამდე მიადღია, რომ არა თუ ადაღინის ის დედა-ენა, რომლიდამაც აღმოსცენდენ ინდო-ევროპულის ნათესავის ენები ¹⁾, არამედ ნათლად აღმოგვიჩინა ინდო-ევროპიელთ უძველეს წინა-პართ პირ-

1) Bibliothèque des sciences contemporaines—La Linguistique par Abel Hovelacque, Paris, 1876 198—208.

გული ადგილ-სადგომი, ჩუქურღებანი, ყოფა-ცხოვრება, სარწმუნოებრივი მიდრეკილება, ურთი-ერთ-შორისი დამოკიდებულება და სს. 2) ერთის სიტყვით, განვითარებულის ლინგვისტის მქს-მიუღწერის თქმით უნა მიგვიძღვის დროების წყვილადში, ბევრით შორს, ვიდრე ასსინისა და ბაბილონის ლუწმებრივი ლიტერატურა, ვიდრე ეგვიპტის ეპოგლიფური მწერლობა. ენა გვაკავშირებს შუაწევრთელის სიტყვის ჯაჭვით განცხადების წინა-შართან და იქიდან იწყობს თავის ცხოვრებას 3) 4.

იმავე საგანს, რომელსაც ჩვენ ზემოდ შევხებით, ხელი დასდო თვით არხეოლოგიამაც. ამ სწავლის წყაროებს შეადგენენ დედა-მიწაში ჩამარხული გადაშენებული ტომთ გვალი, ძველ ნანგრევებში და სასაფლაოებში დარჩული მისი სხვა და სხვა ნაშთი და ნაწარმოებები. საუბედუროდ არხეოლოგია ჯერეთ შეხერხებულია უფრო ვერძის ნიადაგზე და ზოგიერთს აზიის ადგილებზე. თუმცა უნდა ვთქვათ, რომ აქამომდე შეგროვილის მასალების შემწობით იმან უგვე განჩინა ის ცხოვრება, რომელიც განცხადების გაუგებია ბევრით ადრე ისტორიის დრომდე. ამ ცხოვრებას ის საზღვრავს სამ საუკუნედ: პირველის საუკუნის (КАМЕННЫЙ ВѢКЪ) მომდინარეობაში ადამიანი დაბალ ხარისხზე დგას, ხმარობს მხოლოდ ქვის სამკაულს და იარაღს; მეორე საუკუნე (БРОНЗОВЫЙ ВѢКЪ) წარმატებაში შედის, ქვის მაგიერ ხმარობს თითბებს; მესამე საუკუნე (ЖЕЛѢЗНЫЙ ВѢКЪ) წარმოგვიდგინს ისტორიულთ უამთ დასაწყისს; ხმარებაში შედის და ვრცელდება რკინის იარაღი და სხვა და სხვა ყოფა-ცხოვრებისთვის საჭირო რკინეულობა. რქრო და გერცხლი ძველადვე იხმარებოდა. აქ უნდა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ თვითოეული სხეებულთ საუკუნეთაგანი შეიცავს დიდს დროთა სივრცეს და არა ას-წლოვანს დროს, როგორც საზოგადოდ მიღებულია სიტყვა საუკუნე; რომ თითქმის ყველა ადამიანის მოდგმას და ნათესავს, რომელსაც ვი ძველადვე უცხოვრია და წარმატება აღმოუჩინა, გავლილი აქვს სამივე საუკუნე, თუმცა სხვა და სხვა დროს, სხვა და სხვა ქვეყნის მხარეში, რომ უკანასკნელს საუკუნეს ბოლო მოუღო საბერძნეთში და

2) François Lennormant, Manuel d' Histoire Ancienne de l' Orient, Paris, 1869, II, 278—287.
 3) Лекции по наукѣ о языкѣ, С.-Петербургѣ 1865, стр. 19, 20.

იტალიაში ადრე, სამხრეთ-დასავლეთს ვერძაში მე-V—VII საუკ., და ჩრდილო-აღმოსავლეთს მხარეებში ვი მეX - XI საუკ., ესე იგი ქრისტეს სარწმუნოების მიღებით.

ამ გვანად როგორცთაც ენებისა და არხეოლოგიის შემოწმებით, აგრეთვე სხვა და სხვა ტომთ მესხიერებაში დანერგულის გარდამოცემით ახალი სწავლა—მეცნიერება უჩვენებს ძველ მოდგმით ზიწველ-დასაწყისს ადგილ-მამულს, რომელსაც შეადგენს ზემო აზია, ანუ ვრცელი ვაკე-მდლობი, საიდანაც მიმდინარებს დიდი მდინარე, ოთხ-შტოდ დაყოფილი. ეს ვაკე-მდლობი არის ბოლო-რი ანუ ბელურტაგი; ეს ოთხი შტონი არიან: ინდოსი, ჭელმენდი, რქსუსი და იაქსარტი. ბოლორის ვაკე-მდლობი ანუ ბაქტრიანი ეჭირათ ინდო-ევროპელების წინა-შარებს, არილებს 4) და შათ მეზობლად ცნობრებდნენ სამიტნი, სემიტნი და თურანენნი. აქ არილების დედ-მამულში, ვიდრე ისინი ერთმანეთს დაჭმორდებოდნენ ერთი, იმათ ჭსტოდნით მიწის შემუშავება, ხვნა-თესვა, გზის გეთება, გრვა-ქსოვა, სასლთ-შენობა; ისინი სთვლიდნენ თურმე ასამდე; ხმარობდნენ სასარგებლო მეტალებს და რკინის ცულებს შინ და გარეთ, აგრეთვე შინაურ პირუტყვებს—ძროხას, ცხვარს, ძაღლს, ცხენს; მისდევდნენ ნათესაობას და ქორწინებას; ჭმორნილებდნენ თავიანთ უფროსებს და იხსენებდნენ უზენაესს არსებას, რომელსაც სხვა და სხვა სახელს უწოდდნენ.

ზემო-აზიიდან გაიზნა ადამიანის თესლი სხვა და სხვა მხარეს. რა უნდა ყოფილიყო მიზეზი? აქამომდე, ამბობს ამერიკის ისტორიკოსი დრეპერი, ამ მოძრაობის მიზეზად მიაჩნდათ ხალხის გამრავლება და მისი სურვილი ნაყოფიერის ქვეყნების დაჭერისა. რასაკვირველია ერთი მიზეზთაგანი ესეც იყო; მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ აზიიდან ისეთის სისწრაფით იწყობოდა მოძრაობა, ეს მოძრაობა შეიცავდა ისეთს სიმრავლეს ხალხისას, რომ უმთავრესი მიზეზი იმისი სხვა რამ უნდა ყოფილიყო. ჩვენ ვიცით, რომ უმძველესის დროდან აზია შეუბრკელებლივ იბურთება. ამ აბურთებას დიდი გავლენა აქვს ბუნებაზედაც და ვარცხელად: ჭავა იტვლება, ცივდება; მთელი მდინარეები შრება და სწყდება. ამ მოვ-

4) როგორც ჭქონდათ აზიის მოხატესვე ტომებს დაყოფილი ერთმანეთში ადგილები ზემო აზიაში, ასევე ერთი აზია ისილე Lennorm., Man d' Hist., II, 275—277.

დინებით ახსნის ის შემთხვევა, რომ აზიის მოძრაობის მტკიცებულება უკვე აღნიშნული და შემოფარებული, სტრუქტურული თანხებით ადგილ-სადგომებს და მიიწვედნენ იქით-კენ, სადაც იმათ წინ ედვით უკეთესი ადგილები, ვიდრე მათი მხარე ⁵⁾ თანხებით მოგზაურობაში იმათ თან გაჭქონდათ ძველი მამა-მამაური თქმულებები, რომელნიც დატოვებულია ქვეყნის თვისებას ანუ მოკლების რასმე მოსწავებდნენ, მაგ. თქმულება წარდგინაზე, რომელიც შემდეგ მარტო კონკრეტულ შემთხვევაში ან ანუ გავრცელებული; ამას გარდა ისინი იმ ჩვეულებასაც მისდევდნენ, რა ჩვეულებასაც მომავალში მისდევდნენ ევლანები და სულ-ბოლოს ამერიკელები: ისინი ახალ ქალაქებს, მდინარეებს, მთებს და ადგილ-მამულებს, სადაც ბინადრობას სდებდნენ, დროით თუ სამუდამოდ, იმ სახელსაც აძლევდნენ, რომელიც ძველ ადგილებს მოკლებულნი. ამ გვარად სმირად მოხდებოდა, რომ ერთი და იგივე სახელი მოგზაურობდა ერთის მხრიდან მეორეში და მკსამში.

სულ თავდაპირველად გავიდნენ ზემო აზიიდან სემიტნი და დაბინადრდნენ ზოგნი სპარსეთის ურტეს გაჭქემო, ზოგნი ქალდაში, ზოგნიც ნილოსის მდინარეზე. სამიტებშია თითქმის ერთ დროს დაფუძნეს (4000 წლის წინ ქრისტეს შობამდე) სამეფოები ბაბილონში და ეგვიპტეში. თითქმის იმავე დროს დაიძრნენ თურანელები: ერთმა იმათა ნაწილმა გაიარა კასპიის ზღვის ჩრდილო მხარე და მიჭმართა მცირე აზიას და ევროპას; დანაშთენმა ნაწილმა მიჭმართა სამხრეთისკენ, გადაიარა ინდოქუშის მთა და დასასდდა ინდოეთის საზღვრად — ატრატენში (ადრეკიჯანი), ანქენიაში და მცირე აზიაში. ამ დროს სემიტნი და არიელები ბინადრობდნენ ჯერ ისეკ თავის სამშობლოში: იმათ ვაზულაობთ იქვე 3000 წლით ქრისტეს წინაღ. სემიტნი მიჭქვენ თანხათის მონათესავე სამიტების ნაგას და დაუგავშიდნენ იმათ, ბოლოს კი იმდევრეს და დაიმონავეს ანუ ამოსწვიტეს იგინი ქალდაში, ასსირიაში, პალესტინაში და ახაბასტანში. არიელებთ მონათესავეთა შორის პირველები შეიძნენ კელტნი: იმათი გზა იდო კასპიის სამხრეთით საქართველოზე და აღბანაზე (დაღესტანზე), შავი-ზღვის ჩრდილო მხარისკენ და დუნაით კვრპისკენ; ირანიელები გაეპკვავენ ზოგნი ინდოეთისკენ,

ზოგნი მიდიისკენ და სპარსეთისკენ და 2500 წლით ქრისტეს წინაღ მათ დაამხეს პირველი ბაბილონის იმპერია. ბოლოს გაკველეს კვალს გაჭქვენ, ჯერ ტერმანიელები, მასუგან სლავიანნი. იმათ გაი-ხანი იბინადრეს სკვითების მხარეში ვიდრე ევროპისკენ გაიწვედნენ ტანასით, თირასით და ისტრით ჭემუსამდე, ეს უგანასენელი მოძრაობა უნდა მომსდაროყო პირველს საუკუნეში ქრისტეს შობის წინ, რადგანაც ალექსანდრე მაკედონელის დროს (356—324) მათ ეპურათ დიდოსივრცე შავისზღვიდამ მოკიდებული რეინამდე და ბალტიის ზღვამდე.

თავდა-პირველად ცხოვრების წამატების გზას დაადა რაი ქვეყნა: ეგვიპტე და ბაბილონი. ამ ქვეყნებში დაშუარდა სახელმწიფო წესი და სასახოგადო წყობილება; აღუვარდა სხვა და სხვა გვარი ხელგუნება და სწავლა-მეცნიერება, რომელიც იქიდანვე გავრცელდა ასსირიაში, თინიკიაში, მცირე-აზიაში და სს. ესეც უნდა შეგინაშნოთ, რომ სულ ძველად ისმარებოდა რ-გვარი სამწიფო ნიშნები: იეროგლიფური ანუ იდოგრაფიული და ლურსმებრივი. პირველი შეადგენდა მხატრობას, ესე იგი წამოადგენდა იმ აზრებს ანუ საგნებს, რომელთა წამოადგენა ჭსურდათ, მაგალითად [⊕] ნიშნავდა მზეს, [⊙] მთვარეს. მეორეც თავისის ფორმით მიემსგავსებოდა ისას ანუ ლურსმანს, ამისთვისაც ეწოდება იმას ლურსმებრივი წერა. ლურსმებრივი ნიშნები წამოადგენდნენ მხოლოდ სიტყვის მარცვლებს, და არა ასოებს. იეროგლიფურს ნიშნებს სმარობდნენ ეგვიპტელები, ლურსმებრივს ბაბილონ-ასსირიელები, მიდიელები და სპარსელები. ზოგი-ერთნი ამტკიცებენ, ვითომც ამ უგანასენელის მოძრაობი იყვენ თურანელები, რომელთაც ის შემოუტანათ ზემო-აზიიდან ბაბილონში. სამწიფო ნიშნების წამატებას მიაწერენ ქანანელებთ, ესე იგი თინიკიელებთ, რომელნიც შემდეგ გადმოსასლებისა პირველის სამშობლოდამ, თანხათის მონათესავე ებრაელებითურთ ჯერ ბინადრობდნენ სპარსეთის ურტეს კიდევბში, და შემდეგ დაეკვიდრდნენ თვითონ საშუალო-ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე, ებრაელები კი მესოპოტამიაში. თინიკიელებმა გავრცელეს ეს ნიშნები უკვლავს, სადაც კი ისინი, როგორც ზღვის-მავლები, აღებ-მიცემობდნენ. ეს ნიშნები შეადგენენ ალფაბეტს ანუ ჩვენებურად ახაბას,

⁵⁾ История умственного развития Европы, С.-Петербургъ 1865, I, 24—28.

რომლის შემწეობითაც გამოისატება ყოველივე ასო, უბრალოდ თუ ხმოვანი ¹⁾.

აქ, ჩვენის აზრით, უადვილო არ იქნება განსაზღვრათ ის სასიათი, რომლითაც განვითარდნენ ეგვიპტე და ბაბილონი და ამასთანავე ვუჩვენათ ის ძალა, რომელიც ასაღმა მცნაობებში აღმოჩნდა იმათ გამოკვლევასში. აი რას ამბობს ამ საგანზე ჩვენის დროის მიმართულუბის ისტორიკოსთაგანი, ფრანსუა ლენორმანი. «ძველის ცივილიზაციის წარმომადგენელთ ტომებში ამ ნახევარის საუკუნის წინადა უაღმატებულესად დიხს-სახსოვარ ხალხებსად ჰხადიდენ მხოლოდ ბერძნებს და რომაელებს. არ იფიქრობდნენ, რომ გარეშე საბერძნეთისა და იტალიისა ყოფილიყო სხვა ვინმე დიხსი ისტორიისუფრადლებსა, თუიქა იცოდნენ, რომ ამ სივრცესად, რომელიც მდებარებს ნილოსისა და ინდუსის შორის, დაასრულებული იყო როგორცათაც ფართო ბინა ცივილიზაციისა, აგრეთვე სასელმწიფოები ისეთის სატასტო ქალაქებით, რომელნიც სივრცით გადაემატებოდნენ ახლანდელს დედაქალაქებს ევროპისსა და ისეთის სამეფოთა შალატებით ანუ სასახლეებით, რომელნიც სიდიდრით და შემეგულბით არ დაუვარდებოდნენ ჩვენის გორაკების სასახლეებს. იცოდნენ მოგზაურების შემწეობით, რომ იქ უდაბურნი ადგილები და მდინარეების ნაპირები სასუსა დიდროვანის ხანგრძობით, ესე იგი ტაძრებით, პირამიდებით, სხვა და სხვა გვას მკვლევრით და მათის უცნაურის წარწერებით, — ეს ყველა იცოდნენ, მაგრამ იმათ თვალში მანტ ვერ წევდადით იყო გარემოცული.

„ახლა საქმე სხვა მდგომარეობასშია. ბოლოს დროს ევროპის მოვლბელობა და გავლენა თითქმის მთელს დედა-მიწაზე გავრცელდა. ეს შემთხვევა იყო მიზეზი, როგორცათაც სწავლის წარმატებისა საზოგადოად, აგრეთვე ძველისა და უძველესის საუკუნეების გამოკვლევისა. უბერძნელის დროების შესწავლა იწვეს ეგვიპტით. თავდა-პირველად შამპოლიონმა (დიდის ნაპოლეონის დროს) აგლიჯა ის ფარდა, რომელიც ჰფარავდა იეროგლიფურს მწერლობას ეგვიპტისას. მცნაობებსა გაელა კარი ისტორიულის საუზნისა. ნილოსის ვაკე-დედების მთელს სივრცესე გა-

მომიებულ იქმნა ძველი ძეგლები და ამ ძეგლებმა ცხადად დაგვანახვეს მოქმედებანი ფარანებისა, რომელნიც წევდადის დროიდან მძროთავდნენ თავის ქვეყნას. ამ წევდადიდამ გამოიკრიბნენ თითქმის 4000 წლის განცალკობის მოვლბეობანი ეგვიპტისანი. ახლა ჩვენ ვიცით იმათის დროს ხელმოკრება: საანსიტოტურო, სასკულბტურო და სამსატურო; ვიცით, რომ გარდა პირუტყვითაყვანისცემისა, იქ სუფიქდა სამეცნიერო აღსარება, რომელიც ქვეყნის შემოქმედად ჰხადიდა ერთ ლოთაბას. ახლა ნათავმნია და ითავრებება იმათი უმთავრესი ლიტერატურა, რომელიც თავისის აღნაქსით მიემსგავსება ებრაულს სამღთო მწერლობას. ერთის სიტყვით, ეგვიპტმა დაიჭიროს შესაფერი ადგილი მხოლოდ ისტორიაში და ახლა ჩვენ შეგვიძლიან მოვუთხროთ მისი მატინე მისსავე ნამდვილსა და თანა-მედროე წყრობებზე დამყარებული, მოვუთხროთ ისე, როგორც აწინდელის დროს ყოფა-ცხოვრება.

„ასსიროის ისტორიის ადგენა უფრო გასარცხრი იყო. ნინევიამ და ბაბილონმა არ დასტოვეს დედა-მიწის პირად, როგორცათაც ფივიდამ (ეგვიპტში), დიდ-დიდის ზომის ნაშთები. იქ მოგზაურთა პოულობს მხოლოდ გორო-გორო გროვას ნანგრევებისს. ჰგონებდნენ, რომ საუკუნოდ დანთქმულია ყოველივე კვალი მესამოტამიის ცივილიზაციისა; მაგრამ, ჩვენდა სასუგებოდ, სამმა მცნაიკმა, ბოტტმა, ლიარდმა და ლოთუსმა სრული ნათული მოჭოვნეს მშვენიერს სკულბტურას ქალდასას და ასსიროისას. იმათ შალატო ჩუქურთმებმა სოცრი შეისხეს: ისინი წარმოგვიდგენენ ასსირო-ქალღვის მეფეებს და იმათგან დატყვევებულთ ტომთ. აქ ვხედავთ იმ პირთ, რომელთაც საზარელს თვისებებს ცხოველად გამოჰხატვენ ებრაელთ წინასწარ-მეტყველნი. აქ ვხედავთ იმ ბჭებს, რომელთა ქვეშაც, ერთის წინასწარმეტყველის თქმით, ტომთა გროვანი მიმდინარეობდნენ, როგორცათაც მდინარენი. აი ის კერპებიც, მშვენიერის ხელოვნებისა, რომელნიც იზიდავდნენ და აცდენდნენ იელოვას აღმსარებელს ისრაილს. აი თვით ყოფა-ცხოვრება ასსიროელებისა, მრავალ სურათებად წარმოგვჩენილი: იმათი სასულიერო ტრემონიები, იმათი შინაური ჩვეულებები, იმათი სახლის მართულობა და ძვირფასი ვასები; აი იმათი დაშქრობაც, ცისე-სიმაგრეების იერიში და ზღუდე-კლდეების დამარღვეველი მანინები.

1) ამ საგანზე ისილე გრცელი და მშვენიერი ისწულებს Alphabetum ურანსუა ლენორმანისა—Dictionnaire des antiquités Grecques et Romains par Daremberg et Saglio, p. 188—218.

„მრავალი ბაბილონი-სსსიროის შენობაც, რომელიც კი ამოთხრილია მიწის გულიდან, შექმულია მრავალ-გვარის წარწერებით. არ ეგონათ, რომ ეს მწერლობა, უცნაურის თვისებისა, რაღაცე გამოკვლეულიყო; მაგრამ იმასაც სძლია ახლანდელმა მეტრადმა მეცნიერებინამ. ლურსმებრივის მწერლობის გამოძიებას შეუდგნენ ინგლისელი რაგლინსონი, ნეიციტი ჭინკი და ფრანციელი რაბერტი და ახლა ჩვენ იმათის შემწეობით კვითხულობთ ქალდეო-სსსიროის სრონიკებს, რომელნიც წარწერილია აზიან მარმარილოებსე და შედუღებულია კირის ფიჭურებსე და რომელნიც შეიკრუნ მათიერვე ნაამობს ვრცელს მოთხრობებს იმათ გალაშქრებასე და ქვეყნების დაბურობასე, აგრეთვე მათს უღმობელს სასიათსე. სოგიერთი ეს მწერლობა შეესება იმ შემთხვევათაც, რომელთაც მოისხუენებს ბიბლია და იმათი შეთანასწორებას ნამდვილ გვიმტვიცებს უკვკელს ჭეშმარიტებას სამლოთისტორიისას. ახსირო-ბაბილონის დროს შესწავლამ მოჭფინა სსივი თვით ცივილიზაციის დასაწყისს და იმის მიმდინარეობას. შეუძლებელი იყო, რომ ამ გვარნი ბრწყინვალე გულტურა სამუდამოდ შემწყდებულიყო მათს სამზღვრებში მართლად და ცხადად, რომ მათი სწავლა-სელოვნება მიჭყოლია მათის სამხედრო მსვლელობის კვალს და გავრცელებულა აღმოსავლეთად და ჩრდილოეთად, მიდაში და სპარსეთში, სადაც შეუთვისებათ ირანელებს ახემენიდების დროს. ამას წინად საბერძნეთის ხელოვნების წყაროდ მიანხდათ ეგვიპტი; მაგრამ არა: ახლა ამ წყაროდ უნდა ვსადადეთ ნინეპას. ბაბილონი-სსსიროის გავლენა მოჭფინა სირიას, მცირე აზიას და საშუალო-ზღვის გუნძელებს; ბერძნების ქალაქებადამ, რომელნიც შავი-ზღვის პირად ჭყვადნენ, ის შესულა თვით ელლინის ტომის სამოფლობელში, და ამ გვარად საბერძნეთის სეულბტორების მაგალითად და ნიმუშად ჭქონიათ ბაბილონი-სსსიროელთ ნაწარმოები. მცირე აზიიდან ეს ხელოვნება ლიდის მცხოვრებთ შეუტანიათ იტალიაში, სადაც მას დაუდვია საფუძველი ეტრურების ცივილიზაციისას, რომელსედაც შემდეგ აშენებულა რომის დიდებას 1)“

(შემდეგ იქნება...)

ი ა ვ უ ნ დ ი მ ა რ ი ა ს ტ უ ა რ ტ ი ს ა

(შემდეგ *)

II.

— მას აქეთ რაც მე და შენ, ფრანცისკე, გავშორდით ერთმანეთსა, შენ ერთხელაც არ გიკითხივარ, ერთხელაც არ მოგსურვებია შეგეტყუე ჩემი ამბავი, — უთხრა ლუდოვიკ დეკადმონმა თავის ძმას მამა კიბრიანეს, როცა მარტოკანი დაჩხენ.

უთხრა ეს და თვალი თვალში გაუყვარა. დიდად მოწადინებული იყო ეპოვნა თავის ძმაში მცირედი რამ ნიშანი გრძნობისა და წარსულისადმი გულის ტვიგილისა. ამ წადილმა უქმად არ ჩაუარა. მოხუცებულის სასე არ გამოძეტვივლდა უგულობას, გულ-გრილობას, თუმიცა ზედ კი ეწვრა, რომ მე სააქაოსი არ ვარო. სასეხედ ცხადად იყო გამოსატული ეს აზრი: უთქვანი ქვეყნა ჩემი აღარ არის, ესლა ჩემი სხვაა, მაგრამ მე შემოდიან კიდევ უგუ მივიხედო წარსულზედ მარტო შენის სიყვარულის გამო.“ ბრ მონაზონის დიმილმა გამოჭსთქვა, რომ ძმისადმი გულის-ტვიგილი ჯერ კადევ არ დაჭკარგვია; მაგრამ მაგ გულის-ტვიგილს აკლდა ის სათუთობა, რომელიც მარტო მამის იქმნება სოღმე, როცა თვისტომნი განსუშორებულად არიან და ღზისს თუ ჭირს გასხუწვეტლად ურთიერთს უზიარებენ.

